პროფესორი მანანა ხოჭავა
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი
თამარ ჯოხთაბერიძე

ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ბავშვთა ინფექციური სნეულებების კათედრა, ამჟამად დეპარტამენტი, შეიქმნა 1944 წელს. ბავშვთა ინფექციური სნეულებების დეპარტამენტი ახორციელებს სწავლებას დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ საფეხურებზე. ბავშვთა ინფექტოლოგიაში დიპლომამდელი განათლების პროგრამა განკუთვნილია მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის. პოსტდიპლომური - სარეზიდენტო პროგრამა მოიცავს სამწლიან სწავლებას, რომლის დამთავრების შემდგომ უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირს ენიჭება სერტიფიკატი სპეციალობით ,,ბავშვთა ინფექციონისტი“.

ბავშვთა ინფექციური სნეულებების დეპარტამენტი განლაგებულია შპს თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე.

ბავშვთა ინფექციური სნეულებების დეპარტამენტის სამეცნიერო ინტერესი მოიცავს ადრეული ასაკის ბავშვებში ინფექციური პათოლოგიების მიმდინარეობის თავისებურებებს, მკურნალობის ახალ ასპექტებს, ანტიბიოტიკების გამოყენების თანამედროვე საკითხებსა და ინფექციური დაავადებების ვაქცინაციის უახლეს მიდგომებს.

დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის მიერ ქართულ ენაზე გამოცემულია სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო (ა. ხოჭავა, მ. ხოჭავა „ბავშვთა ინფექტოლოგია,“ 2000წ. და ,,ქიმიოთერაპია ინფექტოლოგიაში“ - 2009, ა. ხოჭავა, მ. ხოჭავა, თ. ჯოხთაბერიძე)

დეპარტამენტის ხელმძღვანელობით საავადმყოფოს ბაზაზე ყოველკვირეულად ტარდება სამეცნიერო კონფერენცია ახალგაზრდა ექიმების ჩართულობით, სადაც განიხილება უახლესი სამეცნიერო სტატიები და კვლევის შედეგები. მოხსენებებს ესწრებიან დეპარტამენტის თანამშრომლები, თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ექიმები, რეზიდენტები და დაინტერესებული სტუდენტები.

2006-2018 წლებში აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო და იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებულია 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში როგორც მონაწილის, ასევე მომხსენებლის სტატუსით.

ბავშვთა ინფექციური სნეულებების დეპარტამენტის თანამშრომლები მიერ დაფუძნებულია
,,საქართველოს ბავშვთა ინფექციონისტთა საზოგადოება“ (სბის), შესაბამისად, ასოციაციის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართულნი.
ბავშვთა ინფექციური სნეულებების დეპარტამენტის თანამშრომლები - მანანა ხოჭავა და თამარ ჯოხთაბერიძე არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტები.